ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №1647249

ნომერი: AR1272938

თარიღი : 14.12.2014

გაცემის თარიღი : 19.12.2014

გაცნობის თარიღი : 19.12.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა კრწანისი , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ვეფხია ვეფხვაძე პ/ნ 01020002203
- თბილისი ც.დადიანის ქ. N 65 კორ. 1 ბ. 2

ნომენკლატურა :

- ქალაქგეგმარება
- ქალაქგეგმარებითი დასკვნა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ" საქართველოს კანონის, "დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულებების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2008 წლის 08 ივლისის N1-1/1254 ბრძანების, "დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 05 ივნისის #6-17 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი AR1272938 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქალაქგეგმარებით დასკვნას მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.18.06.006.096) სამშენებლოდ განვითარებასთან დაკავშირებით. პასუხად გაცნობებთ შემდეგს:

თქვენი საკითხი განხილული იქნა “ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის” 2013 წლის 19 ოქტომბრის #24 სხდომაზე, რომლის დასკვნის საფუძველზეც ქ. თბილისში, კრწანისის რაიონში, კრწანისის ქ. #15–ში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.18.06.006.096) ფუნქციური ზონის სტატუსის სარეკრეაციო ზონა 1–ის ზოგადი საცხოვრებელი ზონით ცვლილებას მიეცა თანხმობა სხდომაზე გამოთქმული შენიშვნებისა და რეკომენდაციების გათვალისწინებით. დანართის სახით გიგზავნით ზემოთ აღნიშნული სხდომის ოქმიდან ამონარიდს. შესაბამისად, საკითხი შემდგომი განხილვისთვის წარდგენილ იქნა ქალაქ თბილისის საკრებულოს სხდომაზე, სადაც საკითს ასევე მიეცა თანხმობა (იხ. დანართი).

ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 5 ივნისის #6-17 გადაწყვეტილებით დამტკიცდა დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმა, რომელიც განსაზღვრავს დასახლებათა ტერიტორიების გამოყენების (მიწათსარგებლობის) და განაშენიანების ძირითად პარამეტრებს, კეთილმოწყობის, გარემოსა და უძრავი კულტურული მემკვიდრეობის დამცავ სივრცით-ტერიტორიულ პირობებს, სატრანსპორტო, საინჟინრო და სოციალური ინფრასტრუქტურის, ასევე ეკონომიკური განვითარების სივრცით ასპექტებს და განსახლების ტერიტორიულ საკითხებს. თქვენს დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე დედაქალაქის პერსპექტიული განვითარების გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის–რუკის, მიხედვით ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) და ზოგადი საცხოვრებელი ზონა თუმცა, მისი სამშენებლოდ განვითარება შესაძლებელია საცხოვრებელი ზონა 3–ის (სზ–3) პარამეტრებით. „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის N4-13 გადაწყვეტილების თანახმად სარეკრეაციო ზონა 1 (რზ–1) წარმოადგენს ზონას, რომელიც მდებარეობს განაშენიანებული ტერიტორიის საზღვრებში და მოიცავს გამწვანებულ ტერიტორიას (მაგ. ბაღი, ბულვარი, სკვერი, გაზონი და სხვა) აღნიშნულ ზონაში დაუშვებელია ყოველგვარი მშენებლობა.

ხოლო საცხოვრებელი ზონა 3 (სზ–3) წარმოადგენს ზონას რომელიც შესაძლებელია არსებობდეს მხოლოდ სასოფლო-სააგარაკო განაშენიანების ტერიტორიაზე. განაშენიანების დომინირებული სახეობაა ერთბინიანი საცხოვრებელი სახლები. ასევე დასაშვებია ამ წესების დანართით განსაზღვრული ძირითადი და სპეციალური ზონალური ნებართვით დაშვებული სახეობები (იხ. დანართი).

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე თქვენს დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: #01.18.06.006.096) სამშენებლოდ განვითარება, არქიტექტურის სამსახურს, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, შესაძლებლად მიაჩნია მასზე მოქმედი ფუნქციური ზონის – საცხოვრებელი ზონა 3–ის (სზ–3) შესაბამისად, თუმცა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ განვითარებისას დაცული უნდა იყოს ფინქციურ ზონებს შორის საზღვარი.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე–12 კილომეტრი #6) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge